



9972/4-2/21 2 30092021



9972/4-2/21
30-09-2021

აღსრულების ეროვნული ბიუროს უფროსს,
ბატონ ერეკლე ღვინიაძეს

ბატონო ერეკლე,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. რამდენი მოთხოვნა შემოვიდა აღსრულების ეროვნულ ბიუროში 2015-2021 წლებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე დაკისრებული ჯარიმების აღსრულების მიზნით. გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაშლილი სახით, შესაბამისი წლების მითითებით.
2. რამდენს შეადგენდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად სახელმწიფო ქონებისათვის ან/და მუნიციპალიტეტის ქონებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით აღსრულების ეროვნულ ბიუროში შემოსული მოთხოვნის რაოდენობა 2015-2021 წლებში. გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაშლილი სახით, შესაბამისი წლების მითითებით.
3. რამდენია სააღსრულებო წარმოების შედეგად მოთხოვნის დაკმაყოფილების მაჩვენებელი (თანხობრივად და პროცენტულად) პირველ-მე-2 პუნქტებში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე



საქართველოს იუსტიციის მინისტრი

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge



KA010186281064921

№14463

03 / ნოემბერი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ მიხეილ სარჯველაძეს

ბატონო მიხეილ,

თქვენი 2021 წლის 30 სექტემბრის № 9972/4-2/21 მომართვის პასუხად დანართის სახით გეგზავნებათ ინფორმაცია სსიპ „აღსრულების ეროვნულ ბიუროში“ 2015-2021 წლებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე დაკისრებული ჯარიმების თაობაზე წარმოდგენილ საქმეთა რაოდენობისა და მათი აღსრულების, ასევე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად სახელმწიფო ქონებისათვის ან/და მუნიციპალიტეტის ქონებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით წარმოდგენილ მოთხოვნათა რაოდენობისა და აღსრულების შესახებ. ამასთან, განვლით სააღსრულებო წარმოების შედეგად მიღებული მოთხოვნის დაკმაყოფილების მაჩვენებელს გამიჯნულად – თანხობრივად და პროცენტულად.

დანართი: 1 (ერთი) ფაილი (Excel)

პატივისცემით,

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელექტრონულად



რატი ბრეგაძე

აღსრულების ეროვნული ბიურო

ადმინისტრაციული ჯარიმა	2015	2016	2017	2018	2019
შემოსული საქმის რაოდენობა	63031	75660	83996	118066	149693
მოთხოვნის ოდენობა	18138680	22148251	25017085	33224784	37383214
აღსრულებულ საქმეთა რაოდენობა	38269	46316	44793	67886	83880
აღსრულებული მოთხოვნის ოდენობა	9610643	20645670	9631772	11617761	12773702
აღსრულებული თანხის %	53	93	39	35	34
აღსრულებული საქმის %	61	61	53	57	56

ზიანის ანაზღაურება	2015	2016	2017	2018	2019
შემოსული საქმის რაოდენობა	2356	2332	2130	2163	1213
მოთხოვნის ოდენობა	1322015	1918147	2101459	740933,7	493066,55
აღსრულებულ საქმეთა რაოდენობა	860	949	638	610	403
აღსრულებული მოთხოვნის ოდენობა	470572	297974,6	415408,3	320912,2	264754,25
აღსრულებული თანხის %	36	16	20	43	54
აღსრულებული საქმის %	37	41	30	28	33

2020	2021
70674	120242
58109489	56617912
28061	28055
7645848	4387303
13	8
40	23

2020	2021
1514	755
868765,8	529975,1
353	129
289301,1	125458,8
33	24
23	17